გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2025 წლის 19 დეკემბერი

ქ. გურჯაანი

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ.“ პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს „გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №61 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, 27/12/2017, 010260040.35.166.016358) შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. წინადადებების შემუშავებას ახალგაზრდობის, აგრეთვე ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე.“.

2. დადგენილების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. წინადადებების შემუშავება ახალგაზრდობის, აგრეთვე ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ლევანი ხაზიური**
მოვალეობის შემსრულებელი